MOD 8 16 01177281

13/12/2016

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოადგილეს ბატონ **გიორგი ბუთხუზს**

სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამეტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებლის **მამელი ქობალიას**

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ შესყიდვების დეპარტამენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახსრების რაციონალური ხარჯვისა და საბიუჯეტო ასიგნებების დაზოგვის მიზნით, 500 ლარამდე ღირებულების მქონე სახელმწიფო შესყიდვებს, 2016 წლის 24 აგვისტოს #MOD 0 16 00788664 (იხილეთ საფუძვლებში) მოხსენებითი ბარათის და მინისტრის მოადგილის რეზოლუციის საფუძველზე, ახორციელებდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
ასევე, მოგახსენებთ, რომ შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით ერთი სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური შეადგენს 50 ლარს, ხოლო ტენდერში/კონკურსში წინადადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში საფასურის ოდენობა მცირდება 25 ლარამდე. ასევე, პრეტენდენტის მხრიდან წინადადების წარდგენის საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს. შესაბამისად, ტენდერის/კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება იწვევს 100 ლარის დანახარჯს, ხოლო როდესაც შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ არის მაღალი, სახელმწიფო შესყიდვების ტენდერის/კონკურსის საშუალებით განხორციელება, სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით გაუმართლებელია.

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3^1 პუ ნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის N27 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფად არ განიხილება ის შემთხვევები, როდესაც შესყიდვის ცალ-ცალკე პროცედურებით განხორციელება გამართლებულია სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენს თანხმობას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახსრების რაციონალური ხარჯვის, საბიუჯეტო ასიგნებების დაზოგვისა და საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, 500 ლარამდე ღირებულების მქონე სახელმწიფო შესყიდვები განხრციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, კურატორი მინისტრის მოადგილესთან წერილობით შეთანხმების გარეშე.

პატივისცემით,

სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
მამელი ქობალია